ნიკალას ირმები

აუდიოაღწერებითურთ

მარიამ გოდუაძე

ისიც ნიკოლაა და სანტა კლაუსი არ გეგონოთ, ამ წერილს ნიკო ფიროსმანის ირმებს ვუძღვნი, მგონია, რომ თავადაც მათ ემსგავსებოდა, მათსავით სათნო, კეთილი, ბოროტისა ვერმგუე, პატიოსანი გახლდათ. ისე კი ეს წერილი ატენის სიონის კარიბჭის კამარაში ჩასმულმა ბარელიეფმა შთამაგონა.

სურ.1.

აქ ირმები წყაროს დასწაფებიან ისევე, როგორც ფიროსმანის ნამუშევრებზე, მაგრამ ხელოვნებათმცოდნე რუსო მერაბიშვილი მეუბნება და მეც არ შემიძლია, არ დავეთანხმო, ვიზუალური ხელოვნების ამ ნიმუშებს შორის პირდაპირი კავშირი ნაკლებად შეიძლება არსებობდეს, არც თეოლოგიური ქვეტექსტებია საძიებელი. ნიკალას ირმები უყვარდა და იმიტომ ხატავდა. ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობიც“ ჰქონია წაკითხული, უტირია კიდეც ადამიანების სისასტიკის გამო. ის სცენაც დახატა და წააშლევინესო. ირემს სილამაზის, სიმშვიდის, ნდობის სიმბოლოდ ხატავდა ნიკო ფიროსმანი მუშამბაზე, მუყაოზე, ნებისმიერ მასალაზე, რაც კი ხელთ ჩაუვარდებოდა, ოღონდაც ამის საშუალება მისცემოდა.

მის მიერ დახატული ირმები თბილისის, ქუთაისის, სიღნაღის, მოსკოვის სახელმწიფო გალერეებსა თუ კერძო კოლექციებს ამშვენებენ თავიანთი მოღერილი ყელ-კისრით, ქორბუდა რქებით, ფაფუკი ქათიბებით, ზოგი — თამამი მზერით, ზოგი — მწყურვალი, ზოგი — ფრთხილი, ზოგიც — მშიერი, ზოგი — თავისუფალი, ზოგიც — ოჯხური ზრუნვითა და პასუხისმგებლობით აღვსილი, ზოგიც ქედდახრილი, თუმცა — შეუჩერებელი, როგორც, მაგალითად, ამ ნიმუშზე.

ეს წერილი მინდა ნიკო ფიროსმანის ირმების აუდიოაღწერებს და იმ ადამიანებს მივუძღვნა, ვისაც მხედველობის დეფიციტი აქვთ, ამ ნახატების დანახვა არა, თუმცა შეგრძნება კი შეუძლიათ.

.სურ. 2

ირემი (მდოგვისფერ სიბრტყეზე)

სურათის აუდიოაღწერა:

ნახატი ჰორიზონტალურია, მის წინა მხარეს, ცენტრალურ ნაწილს თითქმის სრულად მოიცავს მიმავალი ხარირმის გამოსახულება არც ისე დიდი რქებით. თავი მარცხნივ აქვს და ანფასში. მზერა ირიბია, დამკვირვებლური. აქვს გრძელი, წვრილი და ძლიერი ფეხები, მოკლე კუდი, დიდი და მოძრავი ყურები, თითქოს რაღაცას გაფაციცებით უსმენს. თვალები შავი და მწველია. სხეული აგურისფერი, რუხი, მონარინჯრისფრო მონასმებით, რომელიც განსაკუთრებით ჭარბობს რქებში. სხეულის კონტურები, ძირითადად, რბისფერია და ემიჯნება საერთო ფონს, რომლის ზედა მხარეს, სურათის 2/3-ზე, დომინანტობს შავი, იშლება მუქმწვანე გარდამავალ ტონად სიბრტყესთან, რომლის უმთავრესი ნაწილი ყვითელი და მდოგვისფერია. მის ნაწილს კი ირმის მომწვანო ჩრდილი ეფინება.

ირმების ოჯახი

სურ. 3.

სურათი თარაზულია, მის სიბრტყეს ქმნის ჩანჩქერიდან ჩამოღვრილი წყალი, რაც შემოსაზღვრულია კლდოვანით. უკანა ნაწილში წყალს ეწაფება დედა ირემი, მის

მარცხნივ ნუკრია, მარჯვნივ კი — ქორბუდა მამრი, ყელზე დაფენილი ფაფუკი, მოყავისფრო თმით და შემართული, ირიბი, თუმცა მოდარაჯე მზერით, შავი თვალებით. უკანა ტანი შემაღლებული აქვს, დგანან წყალში. მათ უკან მოლურჯო, მუქმწვანე კლდეებია. რძისფერი ტონები მეორდება მათი სხეულის კონტურებში, ყურებისა და პირის გარშემო, წყალსა და მუცლის არეებში.

ირმების სხეულები, ძირითადად, აგურისფერია, მოლურჯო, რუხი ჩრდილებით.

სურ. 4. სამი ირემი წყაროსთან

სურ. 4. აუდიოაღწერა:

ნახატი შვეულია, მის წინა მხარეს მოვარდისფრო ირმების ოჯახი წყალთან მისულა, ფური ცენტრშია, წინა მხარეს. იგი წინა ფეხებით წყალში ჩამდგარა და მდინარის წყალს დასწაფებია. შველი — მარცხნივ, ქორბუდა ხარირემი კი მარჯვნივ ამოუყენებია. ხარი თითქოს წითელი ენით ზურგზე ეხება, თავები ირიბად, ანფასში უჭირავთ, თუმცა კი მზერა პირდაპირია. მათ უკან, ფონად ფოთლები, მოშავო, ბადრიჯნისფერი მიწა, სულ ზედა, მარცხენა კუთხეში კი ხის ძირი მოჩანს. ირმების

სხეულებზეც ჩრდილებიც მობადრიჯნისფროა, მამრს მომწვანოც დაჰკრავს. მისი მარცხენა თვალის ზემოთ პატარა, წითელი ლაქა შეიმჩნევა.

ნიკო ფიროსმანის დანარჩენი ირმებიც აქვე არიან, მათ Alt Text-ებით ერთვით მცირე აღწერები.



სურ. 5.

ირემი

ნახატი თარაზულია. წყალში ჩამდგარი, აგურისფერი ფურურემი წყალში წინა ფეხებით ჩამდგარა და წყურვილს იკლავს. მისი მზერა პირდაპირია, შავი თვალებით, ყურები — დაცქვეტილი, კონტურები — სქელი და სპილოსძვლისფერი, ფონი — შავი, მუქმწვანე ფოთლებით ოდნავ დაფერილი. სიბრტყის მარცხენა კუთხეს მომწვანო-მოყავისფრო შუქი დაჰკრავს.


სურ. 6

თავაღერით მიმავალი ირემი

აუდიოაღწერა: *ნახატი თარაზულია. მოწითალო, თავაღერილი ირემი რტოებს მიირთმევს. მისი კონტურები მოვარდისფროა, თავი ირიბად აქვს, თუმცა მზერა პირდაპირია, შავი თვალებით, ჩლიქებიც შავი აქვს, დგას მომწვანო მდელოსა და მუქმწვანე ბალახებში. ნახატის წინა, მარცხენა მხარეს გამხმარი ტოტებია მდელოზე, ირმის წინა ფეხთან.*

ირმები და გაზაფხული


სურ. 7.

აუდიოაღწერა: *ნახატი თარაზულია. მუქი აგურისფერი ფურირემი წყალს ეწაფება. მისი კონტურები მკრთალია, მათსავით მოვარდისფროამუცელიც, თავი ირიბად აქვთ, დედის თუმცა მზერა პირდაპირია, ჩლიქები — შავი აქვს, წინა ფეხებით წყალში ჩამდგარა. დგას მომწვანო მდელოსა და მუქმწვანე ბალახებში. მის მარჯვნივ, პატარა ნუკრია, რომელიც ჩლიქებით ნაპირზე დგას და დედას უცქერს. ნახატის წინა მხარეს, სიბრტყედ, რძისფერი, მოვარდისფრო წყალია, რომელსაც ფურირმის ჩრდილი ოდნავ ეცემა.*

ბრინჯაოსფერი ხარირემი ცელადონისა და რძისფერ ფონზე
მისი რქემი ოქროსფერია, ყურები — თეთრი, მზერა — შიშნარევი და მარჯვნივ მიმართული.



სურ.8.

ირემი პეიზაჟის ფონზე



სურ.9.

1913 წ. მუყაო, ზეთი, 98x71 სმ.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.


სურ.10.

„იმა მთზედა“ ხომ გახსოვთ, ხალხური ბალადა — ირემზე მონადირე სასიძოს სიმამრი რომ განგმირავს და მერე შვილს რომ მიმართავს, შენ რა გატირებს, თავს ნუ მოიკლავო?!

ფიროსმანის ირმებს მეც ავუტირებივარ, მათთან პირისპირ დარჩენილი. საინტერესოა, რა განცდები გასჩენიათ ან გაუჩნდებათ თქვენს შვილებსა ან მოსწავლეებს, რომლებიც ხედავენ ან — ვერა, თუმცა კი ამ ან მსგავსი აუდიოაღწერებით აზრი და წარმოდგენა აუცილებლად შეექმნებათ.